იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ზუგდიდის რაიონში სათბურის მოწყობის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია

2016 წლის 1 ივნისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში გაიმართა ზუგდიდის რაიონში სათბურის მოწყობის პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ოთარ დანელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვახტანგ ყოლბაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, ბატონი ლევან შონია, ადგილობრივი მთავრობისა და პროექტთან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ზემოხსენებული პროექტის კავშირი-ასოციაცია „აგორა“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით. პროექტის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავალის უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 92,622 ა.შ.შ. დოლარია.